



თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ქ. თელავი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 113
17/10/2018

113-09-4-201810171009



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 26-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი 1. 2018 წლის 23 ოქტომბერს 12.00 საათზე მოწვეულ იქნეს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „მოვუსმინოთ სამყაროსთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. გ.თავბერიძე
12.00სთ-დან -12.15სთ-მდე

2. ქალაქ თელავის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (მგგ) გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ.

მომხს. ნ.ბაჩიაშვილი
12.15სთ-დან -12.30სთ-მდე

3. ქალაქ თელავის ცენტრალური მოედნის განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ.

მომხს. ნ.ბაჩიაშვილი
12.30სთ-დან -12.45 სთ-მდე

4. „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ნორმატიული აქტის მიღებისათვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ტ.გალახვარიძე
12.45სთ-დან -13.00 სთ-მდე

მუხლი 2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ.თელავი, დ.აღმაშენებლის გამზ. №41) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

არჩილ თხლაშიძე



საკრებულოს თავმჯდომარე
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო